საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	11	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	11	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	20
პროფესიული თვისებები	10	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	60	100

სახელი, გვარი: გიორგი გზობავა

თარიღი: 25.06.2025 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„25 “ ივნისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **თამარ ალფაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენი კანდიდატის შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **თამარ ალფაიძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2025 წლის 5 ივნისს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **თამარ ალფაიძე** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების

არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „ორგანული კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი **თამარ ალფაიძე** არის თავდაჯერებული და პრინციპული. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები უმეტესწილად აფასებენ დადებითად. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **თამარ ალფაიძე** **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

თამარ ალფაიძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ვინაიდან კანდიდატმა უმეტესად თავი შეიკავა სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხის გაცემისგან, შეუძლებელია დასკვნის გაკეთებაზე იმაზე, თუ რამდენად იცნობს იგი საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ თუ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მიუხედავად სამართლის სფეროში მისი აკადემიური მიღწევებისა.

საჯარო მოსმენისას, **თამარ ალფაიძეს** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი ზოგადი და სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, რაზეც კანდიდატმა გაურკვეველი მიზეზით უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, ზოგიერთ შეკითხვაზე მისი გაცემული პასუხები იყო ბუნდოვანი.

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ ალფაიძე** უნდა შეფასდეს 11 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის, ასევე სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება. გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარები არის არაერთგვაროვანი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო მოსმენისას კანდიდატმა უარი განაცხადა ან ვერ გასცა ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი თითქმის არც ერთ დასმულ შეკითხვას, რის

გამოც მოკლებული ვარ შესაძლებლობას სრულყოფილად შევაფასო კანდიდატი მოცემული კრიტერიუმით.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ ალფაიძე** უნდა შეფასდეს 11 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

თამარ ალფაიძეს გააჩნია გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს თავის პოზიციასა და შეხედულებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს აშკარად ეტყობოდა მღელვარება და დაძაბულობა, რის გამოც ხშირად უჭირდა საკუთარი პოზიციის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. თამარ ალფაიძის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა **არ** გამოვლენილა.

საჯარო მოსმენისას, კანდიდატმა უმეტეს შემთხვევაში თავი შეიკავა კითხვებზე პასუხის გაცემისგან, რის გამოც მოკლებული ვარ შესაძლებლობას სრულყოფილად შევაფასო კანდიდატი ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ ალფაიძე** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავისუფალი აზროვნების სტილს, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულებას, სამართლიანობას, გულისხმიერებას, კეთილშობილებას და სხვა დადებით თვისებებს. გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებად და ნაკლოვანებებად უთითებს კანდიდატის საკმაოდ თავისუფალი აზროვნების, ადამიანებისადმი იმთავითვე დადებითად განწყობის სტილს (რეკომენდატორი აქვე უთითებს, რომ აღნიშნული არის თუ არა სისუსტე/ნაკლოვანება - თავად რეკომენდაციის წამკითხველმა უნდა განსაჯოს).

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ ალფაიძე** უნდა შეფასდეს 10 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

თამარ ალფაიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში. კანდიდატი არის რამდენიმე სამართლებრივი სტატიისა და ნაშრომის ავტორი/თანაავტორი.

ნაშრომები/პუბლიკაციები:

- გამოქვეყნებული აქვს სამრთლებრივი მონოგრაფია - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები, თსუ, 2006 წელი;
- მედია სამართალი, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2008 წელი;
- შესავალი სამართალმცოდნეობაში, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2009 წელი;
- სამართალმცოდნეობის შესავალი, (მეორე გამოცემა), თამარ ალფაიძე, ბექდვითი სიტყვის კომბინატი, 2015.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:

- 2000-2005 წლებში იყო სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);
- 2005-2007 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე - მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;
- 2006-2009 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში;
- 2009-2015 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში;
- 2016-2023 წლებში იყო პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში;
- 2023-2024 წლებში იყო კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
- 2022 წლიდან - დღემდე არის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი თსუ-ში.
- 2024 წლიდან - დღემდე არის მოწვეული ლექტორი, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

დასკვნა: აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ ალფაიძე** უნდა შეფასდეს 10 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

2.6. პროფესიული აქტივობა

თამარ ალფაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

თამარ ალფაიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2014 წელი;
- International Human Rights - University de Catolique, 2014 წელი;
- Leaders of Learning - Harvard University, 2014 წელი;
- ტრენინგი - AI Regulation A Micro Course for Lawyers, Neiron ACADEMY, 2021 წელი;
- ტრენინგი - The Center for Global Communication Studies at the Annenberg School for Communication, University of Pennsylvania, 2012 წელი;

- ტრენინგი - Teaching ICT Pollicy Skills, 2012 წელი;
- ტრენინგი - Training on Media Regulations, 2011 წელი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ ალფაიძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **თამარ ალფაიძე <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **60** ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი